აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“
2026 წლის I ეტაპი

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდები აფხაზეთის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებული საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები.

სტიპენდიას მოიპოვებენ შემდეგი პირები:

განმცხადებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ჩარიცხული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და სტუდენტის სტატუსი უნდა ჰქონდეს აქტიური. სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- თვეში 200 ლარი - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, 90%-დან 97%-მდე შეადგენს;
- თვეში 300 ლარი - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, 97%-დან 100% -ს შეადგენს;

სტიპენდიის მაძიებელთა შეფასების კრიტერიუმები:

- სტუდენტი სტიპენდიას მოიპოვებს აკადემიური მოსწრების საფუძველზე. აკადემიური მოსწრება განისაზღვრება სტუდენტის მიერ სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით, რაც უნდა იყოს არანაკლებ 90%-ისა.
- დაფინანსება ხორციელდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად. შემოსული განცხადებების განხილვისას, თითოეულ ეტაპზე, დაფინანსებისას პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს. თანაბარი აკადემიური შეფასების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომლის წარმატებები ასევე დასტურდება სერტიფიკატებით, სიგელებითა და დიპლომებით.
- სტუდენტზე სტიპენდია გაიცემა ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურად. ანგარიშსწორება ხორციელდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
- სტიპენდიატს, მაღალი აკადემიური მოსწრების შენარჩუნების შემთხვევაში, უფლება აქვს ხელახლა მოიპოვოს სტიპენდია.

განმცხადებელს სამინისტროში მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ასლი;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ცნობა სტუდენტის სტატუსის თაობაზე;
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ცნობა (დედანი) სემესტრის ხანგრძლივობის თაობაზე (სალექციო და საგამოცდო პერიოდის გათვალისწინებით, სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღების მითითებით);
ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი (დედანი) აკადემიური მოსწრების თაობაზე (კომისია იხელმძღვანელებს ბოლო სემესტრის მონაცემებით);
ზ) წარმატებულობისა და განსაკუთრებული მიღწევების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის სერტიფიკატები, სიგელები (არსებობის შემთხვევაში);
თ) საბანკო რეკვიზიტები.

მოქალაქეთა განცხადებები მიიღება 15 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, მისამართი: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №68.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ სატელეფონო ნომრებზე: 598 174 178; 577 09 22 39.